გვერდი – „დამატებით ღვთისმსახურთათვის“ მიჰყავს
ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორს, პროფესორს, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს
დეკანოზ ბიძინა გუნიას

- -

ა) ინფორმაცია ლიტურგიკულ საკითხებზე შეგიძლიათ მოიძიოთ საპატრიარქოს განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე – *„ცნობარი მედავითნეებისთვის“* **http://venakhi.ge/medavitne.html**
ბ) კითხვები თქვენთვის საინტერესო ლიტურგიკულ საკითხებზე გამოგზავნეთ ელ-ფოსტაზე:
davati@venakhi.ge ან **svetitskhoveli@gmail.com**
გ) ინფორმაცია და პასუხები გარდა ზემოაღნიშნული ვებ-გვერდისა, იხილეთ აგრეთვე „ფეისბუკ-ზე“ - მამა ბიძინა გუნია.
შენიშვნა: იხ. „საპატრიარქოს უწყებანი“ –
№36 (695) 31.10-6.11.2013წ. გვ. 4 და №37 (696) 7-13-11.2013წ. გვ. 5.

- -

ჩამოლოცვები

ჩამოლოცვა (განტევება - ბერძ. „απολυσις“) – ***ღვთისმსახურების დამამთავრებელი, ერთგვარი „შემაჯამებელი“, მცირე ზომის ლოცვაა, რომელიც ამ თუ იმ დღის სადღესასწაულო მოვლენისა თუ წმინდანის განდიდებასა და მოხსენიებას, და მრევლის ტაძრიდან გასვლის წინ მათ დალოცვას (კურთხევას) ემსახურება.***

ღმრთისმსახურების ჩამოლოცვისა და ტაძრიდან გასვლის წინ მრევლის დალოცვის ტრადიცია მოციქულთა დროიდან იღებს სათავეს. ერთ-ერთი გადმოცემის შესაბამისად, წმიდა მოწამე მარციალი (მარკიანე) (ძვ. სტ. 25.01) გახლდათ ის პიროვნება, რომლის მოღვაწეობითაც მოციქულთა მიერ დადგენილი მსახურებათა ჩამოლოცვის წესი ზოგადსაეკლესიო კუთვნილება გახდა **(4, 456; 7, 634).**

დროთა განმავლობაში, რაც უფრო მშვენდებოდა ღმრთისმსახურება (საგალობლებითა და ლოცვებით), მით უფრო მრავალფეროვანი ხდებოდა ჩამოლოცვებისის ფორმულარებიც. რაც შეეხება ჩამოლოცვის თანამედროვე სახეებს, მისი ფორმირება XV-XVI საუკუნეებს უკავშირდება **(4, 459; 7, 634).**

თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში **დიდი** და **მცირე** ჩამოლოცვები აღესრულება. ამასთან, დიდი ჩამოლოცვის ორ სახეს განარჩევენ: შვიდეულის დღეთა და სადღესასწაულოს. აღსანიშნავია კერძო მსახურებათა ჩამოლოცვებიც (ნათლისღების, ქორწინების, წესის აგების და სხვათა), რომლებიც კურთხევანშია მოცემული.

ლიტურგიის, ღამისთევის ლოცვის, „სადიდებლიანი“ და „დიდებამაღალიანის“ მსახურებათა ცისკრის ჟამნთა ჩამოლოცვები ღია აღსავლის კარში აღესრულება. რაც შეეხება მცირე და სადაგი დღის მწუხრის, სერობის, შუაღამის და საზოგადოდ „ღმერთი უფალისა“ და „ალილუიას“ მსახურების მცირე ჟამნების ჩამოლოცვებს, ისინი ამბიონზე, დახურული აღსავლის კარის წინ სრულდება.

ასევე, თუ ტიპიკონის მოთხოვნით **ცისკრის ჟამნის ჩამოლოცვა არ ეგება**, I ჟამნი დიდი ჩამოლოცვით (შვიდეულის დღეთა ან სადღესასწაულოთი) დასრულდება **(7, 642)**, ოღონდ დახურული აღსავლის კარის წინ.

და ბოლოს, ჩამოლოცვის აქტუალობიდან გამომდინარე, მოვიხმობთ ციტატას ერთ-ერთი კომპეტენტური საღმრთისმსახურო მითითებიდან: ***„სამწუხაროდ, თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში ჩამოლოცვისას უმეტესწილად საკუთარი შეხედულებებით ხემძღვანელობენ და არა საეკლესიო განჩინებით. მიუ-***

ხედავად იმისა, რომ განტევება წარმოადგენს ლიტურგიკული გარდამოცემის ნაწილს, და ისე როგორც მრავალი საკითხი მართლმადიდებლური ღმრთისმსახურებისა, ისიც გარკვეულ რეგლამენტირებას (ანუ ფორმულირებას - დკ. ბ. გ.) ექვემდებარება, ეკლესიის მიერ დადგენილი განტევების წესი ერთობ იოლად ირღვევა" (8, 641).

ზემოთ მოხმობილი ციტატა ნათელი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ დიდი ყურადღებაა საჭირო სადმრთისმსახურო ჩამოლოცვების აღსრულებისას.

I. <u>მცირე ჩამოლოცვა</u>:

– „ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა თვისისაYთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთა და ყოველთა წმიდათYათა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე" (1, 324; 6, 321; 7, 645).

შენიშვნა: 1. კვირა დღეს მცირე ჩამოლოცვა დაიწყება სიტყვებით – „მკვდრეთით აღდგომილმან ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩვენმან"... ;
2. მცირე ჩამოლოცვით სრულდება: მცირე მწუხრის, სერობის, შუაღამისა და I ჟამნები, ასევე ზოგიერთ შემთხვევაში IX ჟამნიც.

II. <u>შვიდეულის დღეთა ჩამოლოცვები</u>:

1. შაბათსა მწუხრად და კვირიაკესა ცისკრად:

– „მკვდრეთით აღდგომილმან ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა თვისისაYთა, წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა და ...

– ეკლესიის წმიდისა და ...

– რიგის წმიდისა, ანუ იმ დღის წმიდათა ...

წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმ და ანაYსითა, და ყოველ-თა წმიდათაYთა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე" (1, 321-322).

შენიშვნა: დიდი მწუხრის ჩამოლოცვა ამ სახით იმ შემთხვევაში აღესრულება, თუ არ ტარდება ღამისთევის ლოცვა.

2. კვირიაკესა მწუხრად და ორშაბათსა ცისკრად:

– „ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა თვისისაYთა, <u>პატიოსანთა ზეცისა უხორცოთა ძალთაYთა,</u> წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა და ...

– ეკლესიის წმიდისა და ...

– რიგის წმიდისა, ანუ იმ დღის წმიდათა ...

წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმ და ანაYსითა, და ყოველ-თა წმიდათაYთა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე“ (1, 322).

3. ორშაბათსა მწუხრად და სამშაბათსა ცისკრად:

– „ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელი-სა დედისა თვისისაYთა, <u>პატიოსნისა დიდებულისა ფიანYსფარმეტყველისა, ფი-ნამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანესითა</u>, წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა და ...

– ეკლესის წმიდისა და ...

– რიგის წმიდისა, ანუ იმ დღის წმიდათა ...

წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმ და ანაYსითა, და ყოველ-თა წმიდათაYთა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე“ (1, 322).

4. სამშაბათსა მწუხრად და ოთხშაბათსა ცისკრად:

– „ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელი-სა დედისა თვისისაYთა, <u>ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოვესმყოფელისა ჯვარისაYთა, ძლიერებითა ჯვარისა ვაზისაYთა</u>, წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა და ...

– ეკლესის წმიდისა და ...

– რიგის წმიდისა, ანუ იმ დღის წმიდათა ...

წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმ და ანაYსითა, და ყოველ-თა წმიდათაYთა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე“ (1, 322-323).

5. ოთხშაბათსა მწუხრად და ხუთშაბათსა ცისკრად:

– „ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელი-სა დედისა თვისისაYთა, <u>წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა, წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ნიკოლოზ მირონ-ლუკიის მთავარ-ეპისკოპოსისა და საკვირველთმოქმედისაYთა</u> ...

– ეკლესის წმიდისა და ...

– რიგის წმიდისა, ანუ იმ დღის წმიდათა ...

წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმ და ანაYსითა, და ყოველ-თა წმიდათაYთა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე“ (1, 323).

6. ხუთშაბათსა მწუხრად და პარასკევსა ცისკრად:

– „ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელი-სა დედისა თვისისაYთა, <u>ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოვესმყოფელისა ჯვარისაYთა, ძლიერებითა ჯვარისა ვაზისაYთა</u>, წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა და ...

– ეკლესის წმიდისა და ...

– რიბის წმიდისა, ანუ იმ დღის წმიდათა ...
წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმ და ანაYსითა, და ყოველ-თა წმიდათაYთა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე“ (1, 323).

7. პარასკევსა მწუხრად და შაბათსა ცისკრად:

– „ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა თვისისაYთა, წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა, <u>წმიდათა დიდებულთა და კეთილად მძლეთა მოწამეთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთა</u> და ...
– ეკლესიის წმიდისა და ...
– რიბის წმიდისა, ანუ იმ დღის წმიდათა ...
წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმ და ანაYსითა, და ყოველ-თა წმიდათაYთა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე“ (1, 323).

- -

8. კვირას <u>წმ. იოანე ოქროპირის</u> წირვის ჩამოლოცვა:

– „მკვდრეთით აღდგომილმან ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა თვისისაYთა, წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა და <u>წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისა</u>, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა და ...
– ეკლესიის წმიდისა და ...
– რიბის წმიდისა, ანუ იმ დღის წმიდათა ...
და ყოველთა წმიდათაYთა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე“ (4, 288; 7, 641).

9. კვირას <u>წმ. ბასილი დიდის</u> წირვის ჩამოლოცვა:

– „მკვდრეთით აღდგომილმან ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა თვისისაYთა, წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა და <u>წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ბასილი დიდისა</u>, კესარია-კაბადუკიის მთავარეპისკოპოსისა და ...
– ეკლესიის წმიდისა და ...
– რიბის წმიდისა, ანუ იმ დღის წმიდათა ...
და ყოველთა წმიდათაYთა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე“ (4, 288).

10. <u>წმ. გრიგოლ დიოლოღონის</u> ლიტურგიის ჩამოლოცვა:

– „ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა თვისისაYთა, წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა და ...
– ეკლესიის წმიდისა და ...
– მომდევნო დღის რიბის წმიდისა ან წმიდათა ...
და <u>წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლ დიოლოღონისა</u>, რომის პაპისა და

ყოველთა წმიდათაYთა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე“ (4, 314).

შენიშვნა: 1. ჩამოლოცვისას წმ. გრიგოლ დიოლოდონი მოიხსენიება „ყოველთა წმიდათაYთა-ს“ წინ, და არა ეკლესიის წმიდისა და რიგის წმიდის წინ, როგორც ეს სრულ ლიტურგიაზეა განჩინებული (9, 169);
2. პირველშეWირულის ლიტურგიის ჩამოლოცვისას მომდევნო დღის რიგის წმინდანი მოიხსენიება, ანუ რომელსაც „უფალო ღადაჰყავსა“ დასდებლები წაეკითხა (7, 646);
3. ამგვარად, „ალილუიას“ მსახურებისას მიმდინარე დღე სადილის ჟამნის ჩამოლოცვით სრულდება (7, 647).

III. <u>სადღესასწაულო ჩამოლოცვები</u>:

საუფლო დღესასწაულთა ჩამოლოცვები ორგვარია: მოკლე და სრული. საეკლესიო განჩინებით მოკლე ჩამოლოცვები თვით დღესასწაულის დღეს და მის წარგზავნაზე აღესრულება, ხოლო სრული კი დღესასწაულის შემდგომ პერიოდში (წარგზავნამდე).

<u>მოკლე ჩამოლოცვისას</u> **არ მოიხსენიება: 1.** შვიდეულის დღის მოსახსენიებელი; **2.** ტაძრის წმინდანი; **3.** წმიდა იოაკიმ და ანა; **4.** და ზოგჯერ რიგის WმიდA, ანუ იმ დღის წმიდანები. ამასთან, დღესასწაულზე დღის წმინდანები არ მოიხსენიება, ხოლო დღესასწაულის წარგზავნაზე კი **(7, 639).**

<u>სრული ჩამოლოცვისას</u> **მოიხსენიება: 1.** შვიდეულის დღის მოსახსენიებელი (გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა); **2.** ტაძრის წმინდანი; **3.** რიგის WმიდA, ანუ დღის წმინდანები; **4.** წმიდა იოაკიმ და ანა **(5, 235-236).**

თუ დღესასწაულის შემდგომი პერიოდი და წარგზავნა კვირა დღეს დაემთხვევა, დღესასწაულის ჩამოლოცვა დაიტევება და კვირის ჩამოლოცვა აღესრულება **(5, 236).**

ყოველივე ზემოთქმულის ნათლად წარმოჩენისათვის, **ნიმუშად** ***ქრისტეშობის დღესასწაულთან*** დაკავშირებულ მოკლე და სრულ ჩამოლოცვებს წარმოვადგენთ, ხოლო სხვა საუფლო დღესასწაულთა ჩამოლოცვები მათ ანალოგიურად აღესრულება.

1. მოკლე ჩამოლოცვა:

ა) განტევება <u>*ქრისტეშობის დღესაწაულის*</u> ღამისთევის ლოცვაზე:

– „რომელი ქუაბსა შინა იშუა და ბაგასა მიიწვინა ჩვენისა ცხოვრებისათვის, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა თვისისაYთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთა და ყოველთა წმიდათYათა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე“ (5, 235).

ბ) განტევება წირვისა *<u>ქრისტეშობის დღესაწაულზე</u>*:

– „რომელი ქუაბსა შინა იშუა და ბაგასა მიიწვინა ჩვენისა ცხოვრებისათვის, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა თვისისაYთა, წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა, წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისა, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაYთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთა და ყოველთა წმიდათYათა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე“ (5, 235).

გ) განტევება *<u>ქრისტეშობის დღესაწაულის</u> წარგზავნაზე*:

– „რომელი ქუაბსა შინა იშუა და ბაგასა მიიწვინა ჩვენისა ცხოვრებისათვის, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა თვისისაYთა,

– რიბის წმიდისა, ანუ იმ დღის წმიდათა ...

ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთა და ყოველთა წმიდათYათა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე.“

2. სრული ჩამოლოცვა:

დ) განტევება *<u>ქრისტეშობის დღესაწაულის</u> შემდგომ პერიოდში* საღამოს მწუხრსა და დილით ცისკარზე (წარგზავნამდე):

– „რომელი ქუაბსა შინა იშუა და ბაგასა მიიწვინა ჩვენისა ცხოვრებისათვის, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა თვისისაYთა,

– „შვიდეულის დღე“ ...

წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა და ...

– ეკლესიის წმიდისა და ...

– რიბის წმიდისა, ანუ იმ დღის წმიდათა ...

წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმ და ანაYსითა, და ყოველ-თა წმიდათაYთა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე.“

ე) განტევება წირვისა *<u>ქრისტეშობის დღესაწაულის</u> შემდგომ პერიოდში* (წარგზავნამდე):

– „რომელი ქუაბსა შინა იშუა და ბაგასა მიიწვინა ჩვენისა ცხოვრებისათვის, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა თვისისაYთა, წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა და წმიდათა შორის მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისა, კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა და ...

– ეკლესიის წმიდისა და ...

– რიბის წმიდისა, ანუ იმ დღის წმიდათა ...

და ყოველთა წმიდათაYთა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე.“

2. განტევება *<u>წინადაცუეთასა</u>:*

– „რომელმან მერვესა დღესა ხორციითა წინადაცუეთაY ინება ჩუენისა ცხოვრებისათვის, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან“ ... (1, 318).

3. განტევება *<u>ნათლისღებასა</u>:*

– „რომელმან იორდანესა შინა ნათლისღებაY ინება იოვანესგან, ჩუენისა ცხოვრებისათვის, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან“ ... (1, 318).

4. განტევება *<u>მიგებებასა</u>:*

– „რომელმან მართლისა სვიმეონისა მკლავთა ზედა ტვირთვაY ინება ჩუენისა ცხოვრებისათვის, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან“ ... (1, 319).

5. განტევება *<u>ფერისცვალებასა</u>:*

– „რომელმან მთასა ზედა თაბორსა ფერი იცვალა დიდებით წინაშე წმიდათა თვისთა მოწაფეთა და მოციქულთა, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან“ ... (1, 319).

6. განტევება *<u>ბზობასა</u>:*

– „რომელმან კიცუსა კარაულისასა დაჯდომაY ინება ჩუენისა ცხოვრებისათვის, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან...“ (1, 319).

7. განტევება *<u>ბზობისა მწუხრსა</u>:*

– „მომავალმან უფალმან ნებსით ვნებად ჩუენისა ცხოვრებისათვის, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან...“ (1, 319).

8. განტევება *<u>დიდსა ხუთშაბათსა</u>:*

– „რომელმან სახიერებით კეთილი გზაY სიმდაბლით გKიჩვენა, ოდეს დაბანნა ფერხნი მოწაფეთანი, და ჯუარცუმაY, და დაფლვაY ინება ჩუენთვის, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან...“ (1, 319).

9. განტევება *<u>წმიდათა ვნებათაი</u>:*

– „რომელმან ნერწყვაY, და გუემაY, და ყურიმლისცემაY, და ჯუარი, და სიკუდილი დაითმინა სოფლისა ცხოვრებისათვის, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან...“ (1, 319).

10. განტევება წმიდასა და *<u>დიდსა პარასკევსა</u>:*

– „რომელმან ჩუენ კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის საშინელი ვნებაY, და ცხოველსმყოფელი ჯუარი, და ნებსით დაფლვაY ხორცითა ინება, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან...“ (1, 319-320).

11. განტევება *<u>ბწყინვალესა აღდგომასა ქრისტესსა</u>* (და დღეთა ბრწყინვალისა შვიდეულისათა):

– „ქრისტე აღდგა მკუდრეთით, სიკუდილითა სიკუდილისა დამრთგუნველი, და საფლავების-შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი, ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან...“ (1, 320).

12. განტევება *<u>ამაღლებასა</u>:*

– „რომელი ამაღლდა ჩუენგან ზეცად დიდებით, და დაჯდა მარჯუენით ღმრთისა და მამისა, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან...“ (1, 320).

13. განტევება *<u>სულიწმიდისა მოსლვასა</u>:*

– „რომელმან სახითა ცეცხლისა ენათაYთა, ზეცით გარდამოუვლინა ყოვლადწმიდაY სული წმიდათა თვისთა მაწაფეთა და მოციქულთა, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან...“ (1, 320).

14. განტევება *<u>სულიწმიდის მოსლვასა</u> მწუხრად:*
– „რომელმან მამობრივისა ღმრთეებისა წიაღთაგან წარმოაცალიერა თავი თვისი, და ზეცით ქუეყანად გარდამოჰხდა, და ჩუენ ყოველნი ბუნებისა ჩუენისა მიღებითა განგუაღმრთვნა, და ამისა შემდგომად თვით ზეცას აღმაღლდა, მარჯუენით ღმრთისა და მამისა დაჯდა, და საღმრთოY და წმიდაY და თანაარსი, ერთძალი და ერთდიდებაY, და თანაგანმგებელი სული გარდამოავლინა წმიდათა მოწაფეთა და მოციქულთა თვისთა ზედა, და მის მიერვე განანათლნა იგინი, და მათ მიერ ყოველი ქუეყანაY, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა და უბიწოYსა წმიდისა დედისა თვისისაYთა, და წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა, ღმრთისმქადაგებელთა და სულითა შეზღუდვილთა მოციქულთა და ყოველთა წმიდათა თვისთაYთა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე“ (1, 320-321).

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ:

არის შემთხვევები, როცა ღამისთევის ცისკრის ჟამნს მღვდელმთავრები განსხვავებულად ჩამოილოცავენ, რის დროსაც ტრადიციულ ფორმულარს განვრცობილად წარმოთქვავენ, კერძოდ:

– „ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა დედისა თვისისაYთა, *ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა, ძლიერებითა ჯუარისა ვაზისათა, მეოხებითა პატიოსანთა უსხეულოთა ზეცისა ძალთათა, პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანესითა, წმიდისა წინასწარმეტყველისა ილია თეზბიტელისა, წმიდათა დიდებულთა და ყოვლად ქებულთა მოციქულთა -*

ანდრია პირველწოდებულისა, სვიმონ კანანელისა და მატათასითა, და წმიდისა დედისა ჩუენისა მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინო ქართველთ განმანათლებელისათა, წმიდათა შორის მამათა ჩუენთა და მსოფლიოთა დიდთა მოძღუართა და მღვდელმთავართა - ბასილი დიდისა, გრიგოლი ღვთისმეტყველისა და იოვანე ოქროპირისათა, წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ნიკოლოზ მირონლუკიის მთავარეპისკოპოსისა და საკვირველთმოქმედისათა, და წმიდისა დიდისა მოწამისა ძლევაშემოსილისა და საკვირველთმოქმედისა გიორგისათა, წმიდათა და ღვაწლის მძლეთა მოწამეთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთა, და ღირსისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაზნელისა და მისთა ათორმეტთა მოწაფეთა, და ღირსისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისათა, და წმიდისა მამისა ჩუენისა ილია მართლისათა ...

– ეკლესიის წმიდისა და ...

– რიგის წმიდისა, ანუ იმ დღის წმიდათა ...

წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა იოაკიმ და ანაYსითა, და ყოველ-თა წმიდათაYთა, შეგვიწყალნეს და გუაცხოვნეს ჩუენ, ვითარცა სახიერ არს და კაცთმოყვარე“.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. სამღვდელო კონდაკი, გამომცემლობა „ორთოდოქსოს კიფსელი“- თესალონიკი, 1993წ.;
2. ჟამნი – თბილისი, 1899წ.;
3. **С.В.Булгаков – Настольная книга священно-церковно-служителя т. I, Москва 1997г.;**
4. **Настольная книга священнослужителя т. I, Москва 1977г.;**
5. **К. Никольский – Учебный устав Богослужения, Санкт-Петербург 1995г.;**
6. **В. Розанов – Богослужебный устав православной Церкви, Москва 2008г.;**
7. **А. Кашкин – УСТАВ Православного Богослужения, Саратов 2010г.;**
8. **Богослужебные указания на 2005 год.;**
9. **Богослужебные указания на 2011 год.**